ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3572924

ნომერი: AR1540323

თარიღი : 20.09.2017

გაცემის თარიღი : 02.10.2017

გაცნობის თარიღი : 02.10.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აკაკი ბელიაშვილი , N 157 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლადო ჭანტურია პ/ნ 01024032026
- თბილისი, მერი დავითაშვილის ქუჩა 27

ორგანიზაცია:
- შპს ედესი ჯგუფი კოდი: 203868635

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- რეკონსტრუქციის სხვა სახეობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კობა სურმავა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ედესი ჯგუფი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 203868635
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დიმიტრი კვეკვესკირი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 62006056949

.სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (არსებული) ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2272.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 515.3
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1179.8
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 334.9
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 844.9
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 6642.1
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 6642.1
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 0.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 14.26
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 13.66
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.6
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 515.3 კ1=0.2
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -

.პროექტირების შედეგად მიღებული ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2272.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 515.3
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1430.5
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 334.9
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 538.6
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 557.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 7424.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 7424.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 0.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 14.26
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 13.66
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.6
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 515.3 კ1=0.2
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : -

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ბელიაშვილის ქ. N157-ში მრავაფუნქციური შენობის (კომერციული, საოფისე) რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას, პასუხად გაცნობებთ: საპროექტო მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბერის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 გადაწყვეტილების თანახმად სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) წარმოადგენს სარეკრეაციო ქვეზონას, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: პარკს, ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს; რზ-2-ში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობებისა.

ვინაიდან სარეკონსტრუქციო შენობა უკვე შეუსაბამოა საპროექტო ტერიტორიაზე მოქმედი ფუნქციური ზონის მიმართ, თანახმად მოქმედი რეგლამენტისა, „შეუსაბამო სტატუსის მქონე უძრავი ობიექტების გამოყენებასა და განაშენიანებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედება საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას.“. გამომდინარე აქედან, პირველ რიგში საჭიროა საკითხი დააყენოთ ქ. თბილისის ტერიტორეიბის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიაზე, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მისაღებად. აღნიშნულ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იქნება შესაძლებელი რეკონსტრუქციის საკითხზე წარმოების განახლება;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.